მოწვევა

ინტერესთა გამოხატვაზე

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, VIP Lounge-ის სივრცის ბრენდირებული კონცეფციით მოწყობის სანაცვლოდ რეკლამის განთავსების უფლების გაცემასთან დაკავშირებით

* * * * * *

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" დაინტერესებულია გასცეს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, VIP Lounge-ის სივრცის ბრენდირებული კონცეფციით მოწყობის სანაცვლოდ, VIP Lounge-ის სივრცეში რეკლამის განთავსების უფლება, იმ პირზე რომელიც დააკმაყოფილებს ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს, გამოხატოს ინტერესი შესაბამისი უფლების მიღებაზე.

ყველა შეკითხვა და მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
business@airports.ge

განცხადება VIP Lounge-ის სივრცის ბრენდირებული კონცეფციით მოწყობის სანაცვლოდ, VIP Lounge-ის სივრცეში რეკლამის უფლების მისაღებად, წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი #21 აეროპორტი;
განცხადების წარმოდგენა ასევე დასაშვებია შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: business@airports.ge;
ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მიმღების მხრიდან შესაბამისი მეილის მიღების დადასტურების არსებობა.

გამოქვეყნების თარიღი: 18.02.2025 წელი

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, VIP Lounge-ის სივრცის ბრენდირებული კონცეფციით მოწყობის სანაცვლოდ VIP Lounge-ის სივრცეში რეკლამის განთავსების უფლების გაცემის პირობები

2025 წელი

ინტერესთა გამოხატვა

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, VIP Lounge-ის სივრცის ბრენდირებული კონცეფციით მოწყობის სანაცვლოდ VIP Lounge-ის სივრცეში რეკლამის განთავსების უფლების გაცემის პირობებთან დაკავშირებით

1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, იწვევს დაინტერესებულ პირებს, „ინტერესთა გამოხატვის“ დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, წარმოადგინონ წინადადებები, „ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის“ გაფრენის დარბაზის სარეჟიმო ტერიტორიის ორ სართულზე განთავსებულ, არაუმეტეს 269,29 კვ.მ ფართში, „დაინტერესებული პირის“ ბრენდირებული კონცეფციით, VIP Lounge-ის სივრცის მოწყობის სანაცვლოდ, VIP Lounge-ის სივრცეში (შემდეგში - „ობიექტი“) რეკლამის განთავსების უფლების მისაღებად.
2. „დაინტერესებული პირი“ შეიძლება იყოს თავად აღნიშნული ბრენდი ან/და კომპანია, ან იმყოფებოდეს მასთან შესაბამის სახელშეკრულებო ურთიერთობაში.
3. „ობიექტის“ მოწყობა გულისხმობს, „ინტერესთა გამოხატვის“ პირობების ფარგლებში გამარჯვებული „დაინტერესებული პირის“ ვალდებულებას, წინასწარ შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში (შემდგომში - „პროექტის ღირებულება“) „ობიექტის“ ორივე სართულზე (მათ შორის სამზარეულოსთვის განკუთვნილ ნაწილში) „ინტერესთა გამოხატვის“ ფარგლებში შეთანხმებული დიზაინისა შესაბამისად:
   3.1. უზრუნველყოს „ობიექტის“ სარემონტო / მოსაპირკეთებელი სამუშაოების ჩატარება, „დაინტერესებული პირის“ ბრენდის ფერებითა და კონცეფციის გათვალისწინებით;
   3.2. უზრუნველყოს „ობიექტის“ აღჭურვა შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით, „აეროპორტების გაერთიანებასთან“ წინასწარ შეთანხმებული დიზაინის, ხარისხისა და VIP Lounge-თან მიმართებით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით;
4. „ობიექტის“ ოპერირების, არანაკლებ, პირველ საოპერაციო წელს, „დაინტერესებული პირი“ ვალდებულია უზრუნველყოს „ობიექტის“, ავეჯისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობა, შეკეთება / ახლით ჩანაცვლება.
5. უზრუნველყოს VIP Lounge-ის სივრცესთან დაკავშირებით PR და მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება „აეროპორტების გაერთიანებასთან“ წინასწარ შეთანხმებული ფორმით და აღნიშნული ღონისძიებების და საერთაშორისო ან/და ადგილობრივი გაყიდვების არხების მეშვეობით, „ობიექტის“ ოპერირების პირველ საოპერაციო წელს, უზრუნველყოს VIP Lounge-ით სარგებლობა, არანაკლებ, 30 000 გარანტირებული მგზავრის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი ექვივალენტი თანხის „აეროპორტების გაერთიანებისთვის“ ანაზღაურება.
6. „ობიექტის“ მოწყობის შემდგომ, VIP Lounge-ის სივრცის ოპერირებას და ოპერირებიდან მიღებული შემოსავლების სრულად მიღებას უზრუნველყოფს „აეროპორტების გაერთიანება“.
7. „დაინტერესებული პირის“ მიერ მოწყობილი ობიექტის, ავეჯისა და ინვენტარის „აეროპორტების გაერთიანების“ საკუთრებაში გადაცემა განხორციელდება „ობიექტის“ მოწყობის თაობაზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუმცა არაუმეტეს 5 წლის ვადით.

VIP Lounge-ის სივრცე მოიცავს:

1. **მდებარეობა:** დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფრენის დარბაზის სარეჟიმო ტერიტორია;
2. **საკადასტრო კოდი:** 34.02.62.434 (შენობა-ნაგებობა: N1);

3. **ფართი:** „ინტერესთა გამოხატვის“ დოკუმენტის გამოქვეყნების მომენტისთვის, გადასაცემი ფართი შეადგენს 269.29 კვ.მ-ს (გადასაცემი ფართის ორივე სართული, შიდა აზომვითი ნახაზები თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს). აღნიშნული ფართობი შესაძლებელია დაკორექტირდეს, ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტით გათვალისწინებული, ტექნიკური სამუშაოების განხორციელების შედეგად.

„პროექტის ღირებულების“ სანაცვლოდ, „აეროპორტების გაერთიანების“ მიერ „დაინტერესებული პირებისთვის“ შეთავაზებული საპირწონე პირობები:

1. „აეროპორტების გაერთიანება“ „დაინტერესებულ პირს“, ხელშეკრულების საფუძველზე, „პროექტის ღირებულების“ ანაზღაურების სანაცვლოდ, გადასცემს VIP Lounge-ის სივრცეში რეკლამის განთავსების უფლებას, რომლის ღირებულება შეფასდება აუდიტის მიერ და გაიქვითება „პროექტის ღირებულების“ ფაქტობრივი ოდენობაში. „პროექტის ღირებულების“ ფაქტობრივი ოდენობის სრულად გაქვითვის შემდგომ, „დაინტერესებული პირი“ ვალდებული იქნება უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული რეკლამის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

   ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, აეროპორტი უფლებამოსილი იქნება, თავისი შეხედულებისამებრ, „ობიექტში“ არსებულ თავისუფალ სარეკლამო წერტილებში, განათავსოს მესამე პირების რეკლამა. თავისუფალ სარეკლამო წერტილებში მესამე პირების რეკლამის განთავსების „აეროპორტების გაერთიანების“ უფლებამოსილების ფარგლები (და ნებისმიერი პოტენციური შეზღუდვა) დარეგულირდება „ინტერესთა გამოხატვის“ ფარგლებში გამარჯვებულ „დაინტერესებულ პირთან“ გასაფორმებელი ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით.
2. „აეროპორტების გაერთიანება“ დაინტერესებულ პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, „ობიექტის“ დასახელება მოიცავდეს დაინტერესებული პირის ბრენდის სახელწოდებას, როგორც ობიექტის გარე ვიზუალურ ნაწილში, ასევე სოციალური მედიის პოსტებისა და სხვადასხვა PR და მარკეტინგულ კამპანიებში.
3. „აეროპორტების გაერთიანება“ დაინტერესებულ პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, „ობიექტის“ მოწყობა განახორციელოს „დაინტერესებული პირის“ ბრენდის ფერებითა და კონცეფციით, „აეროპორტების გაერთიანებასთან“ წინასწარ შეთანხმებული დიზაინის შესაბამისად.

„ობიექტში“ „აეროპორტების გაერთიანება“ უზრუნველყოფს:

1. „ობიექტის“ მოწყობის შემდგომ, VIP Lounge-ის სივრცის ოპერირებასა და „ობიექტის“ ოპერირებიდან მიღებული შემოსავლების სრულად მიღებას.
2. „ობიექტში“ არსებულ თავისუფალ სარეკლამო წერტილებში, საკუთარი შეხედულებისამებრ, მესამე პირების რეკლამის (მათ შორის, „დაინტერესებული პირის“ რეკლამის, მათ მიერ დამატებითი სარეკლამო წერტილების მოთხოვნის შემთხვევაში) განთავსებას აუქციონის მოწყობის გარეშე, პირდაპირი წესით და არანაკლებ აუდიტის მიერ დადგენილი ღირებულებით, „ინტერესთა გამოხატვის“ ფაგლებში გამარჯვებულ „დაინტერესებულ პირთან“, ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული წესით.
3. VIP Lounge-ის ოპერირებისთვის საჭირო შესაბამისი რაოდენობის თანამშრომლების უზრუნველყოფას;
4. „ობიექტში“ უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებების, აგრეთვე „ობიექტის“ ყოველდღიური მოვლა-პატრონობისთვის (დასუფთავება, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა და ა.შ.) აუცილებელი ღონისძიებების გატარებას;
5. მგზავრებისთვის, VIP Lounge-ის სტანდარტების მიხედვით, შესაბამისი ხარისხის სერვისის მიწოდებასა და მათ მუდმივ მონიტორინგს;

6. “ობიექტის“ უზრუნველყოფას, საკვები / სასმელი (ალკოჰოლური და არაალკოჰოლური) პროდუქციით, უწყვეტ რეჟიმში;
7. „ობიექტში“ შესაბამისი სისტემის დანერგვას, რომლითაც, ყოველდღიურად, უზრუნველყოფილი იქნება VIP Lounge-ით მოსარგებლე პირების რაოდენობის აღრიცხვა;
8. „ობიექტის“ ცნობადობის ამაღლებას მარკეტინგული აქტივობების საშუალებით.

მოთხოვნები დაინტერესებული პირების მიმართ:

1. ბრენდი ან/და კომპანია, რომლის სახელითაც განახორციელებს „დაინტერესებულ პირი“ წინადადების წარმოდგენას, მსგავსი საქმიანობით, წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ 1 საერთაშორისო აეროპორტში.
2. „დაინტერესებული პირი“ შეიძლება იყოს თავად აღნიშნული ბრენდი ან/და კომპანია, ან იმყოფებოდეს მასთან შესაბამის სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

ინტერესეთა გამოხატვის პირობებით განსაზღვრულ ვადაში, „დაინტერესებულმა პირებმა“, წერილობით განაცხადთან ერთად, უნდა წარმოადგინონ:

1. ინფორმაცია ბრენდის თაობაზე, რომლის სახელითაც განხორციელდება „დაინტერესებული პირის“ მიერ „ინტერესთა გამოხატვის“ დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
2. ხარჯთაღრიცხვა, VIP Lounge-ის სივრცის მოწყობისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ოდენობის თაობაზე. „ინტერესთა გამოხატვის“ ფარგლებში გამარჯვებული „დაინტერესებული პირი“ ვალდებული იქნება ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა უზრუნველყოს, „ობიექტის“ მოწყობის შემდგომაც (ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აკრედიტებული საექსპერტო კომპანიის / პირის მიერ დადასტურებული ხარჯთაღრიცხვა).
3. ინფორმაცია VIP Lounge-ის სივრცის მოწყობის ვადის თაობაზე;
4. VIP Lounge-ის სივრცის დიზაინი (რენდერის სახით და სივრცეების აღწერით), მათ შორის, სივრცის შიდა განლაგება და ინფორმაცია VIP Lounge-ის სივრცეში მგზავრების მაქსიმალური რაოდენობის განთავსების შესაძლებლობის თაობაზე.VIP Lounge-ის სივრცის პირველი და მეორე სართულების ერთმანეთთან დაკავშირების ტექნიკური გადაწყვეტა - არქიტექტურული ნახაზი და რენდერები;
5. ინფორმაცია დამატებითი ბენეფიტების თაობაზე, რომლიც „დაინტერესებული პირის“ მიერ შეთავაზებული იქნება მგზავრებისთვის. მათ შორის, ინფორმაცია, „ობიექტის“ ოპერირების პირველ საოპერაციო წელს VIP Lounge-ით მოსარგებლე გარანტირებული მგზავრების შემოთავაზებული რაოდენობის შესახებ, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 30 000 მგზავრისა.
6. „ინტერესთა გამოხატვის“ დოკუმენტით გათვალისწინებული, გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები „ობიექტის“ მოწყობის მიმართ

1. VIP Lounge-ის სივრცის მოწყობის პროცესში „დაინტერესებული პირი“ ვალდებულია, მათ შორის, უზრუნველყოს შემდეგი სამუშაოების წარმოება:
   1.1.1. იმის გათვალისწინებით, რომ „ობიექტის“ პირველი სართული, „ინტერესთა გამოხატვის“ პირობების გამოქვეყნების მომენტისთვის, არის შავი კარკასის მდგომარეობაში, „დაინტერესებული პირი“ ვალდებულია, მოაწყოს ჭერი, კედლები, იატაკი, ასევე საინჟინრო და ქსელური ინფრასტრუქტურა;
   1.1.2. „ობიექტის“ მეორე სართულის VIP Lounge-ის სივრცის საერთო კონცეფციასთან შესაბამისობაში მოყვანა, მათ შორის, პირველი და მეორე სართულების გაერთიანება;

1.1.3. პირველი და მეორე სართულების გაერთიანების პროცესში სარემონტო და საინჟინრო სამუშაოების წარმოება.

1.1.4. პირველი სართულის მეორესთან დამაკავშირებელი დამატებითი კიბის მოწყობა, იმგვარად, რომ „ობიექტს“ მეორე სართულზე მოსახვედრად გააჩნდეს ერთი დამოუკიდებელი შესასვლელი მომხმარებლისთვის, ხოლო პირველსა და მეორე სართულზე მოძრაობა შესაძლებელი იყოს VIP Lounge-ის სივრცის დატოვების გარეშე.

1.1.5. შშმ პირების ბაქანი-ლიფტის / კიბეზე გადასაადგილებელი სპეციალური ეტლის მოწყობა, რომელიც დააკავშირებს პირველ და მეორე სართულზე არსებულ 2 სივრცეს ერთმანეთთან.

1.1.6. „ობიექტში“ ყველა ინფრასტრუქტურული კომუნიკაციის მოწყობა / აღდგენა, მათ შორის, შიდა ელექტროობისა და წყალ-კანალიზაციის ქსელის მოწყობა და, საჭიროების შემთხვევაში, ინტერნეტის ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობა.

1.1.7. „ობიექტში“,სამზარეულოს მოწყობა და აღჭურვა;

1.1.8. იმის გათვალისწინებით, რომ არსებული მდგომარეობით „ობიექტში“ შესაძლებელია, გამოყენებული იქნას ვენტილაციის მხოლოდ არხები და გათბობა-გაგრილებისთვის მხოლოდ ორმილოვანი წყლის სისტემა, „დაინტერესებული პირი“ ვალდებულია, უზრუნველყოს ფანკოილებისა და გამწოვ-შემომტანი ვენტილატორების მონტაჟი, ასევე უზრუნველყოს სახანძრო დეტექციის გამართვა და ვენტილაციის სისტემის ცხაურების აღდგენა.

1.1.9. „დაინტერესებული პირი“ ვალდებულია, უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დიზაინით გათვალისწინებული სხვა დამატებითი სამუშაოების წარმოება, რომელიც აუცილებელი იქნება VIP Lounge-ის სივრცის მოწყობისა და შემდგომში ოპერირების განხორციელების მიზნით.

1.1.10. „დაინტერესებული პირი“ ვალდებულია უზრუნველყოს „ობიექტში“ ბავშვთა უსაფრთხო, მოსასვენებელი სივრცის მოწყობა.

1.1.11. VIP Lounge-ის სივრცის მოწყობის დროს გასათვალისწინებელია, რომ პირველ სართულზე განთავსებულია ელექტრო კარადა, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს „აეროპორტის“ შესაბამისი თანამშრომლებისთვის.

წინადადების წარმოდგენისა და შერჩევა-შეფასების წესი:

1. „დაინტერესებულმა პირებმა“ წინადადებების წარმოდგენა უნდა უზრუნველყონ, ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში, შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: business@airports.ge ან “აეროპორტების გაერთიანების” იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, შალვა ჭანკოტაძის ხეივანი #21;
2. „დაინტერესებული პირების“ მიერ წარმოდგენილ წინადადებებს თან უნდა ერთვოდეს, წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია / ინფორმაცია.
3. „აეროპორტების გაერთიანება“ წარმოდგენილ წინადადებებს განიხილავს, წინადადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
4. „დაინტერესებული პირების“ შეფასება „აეროპორტების გაერთიანების“ მიერ განხორციელდება კომისიური წესით, შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

#	შესაფასებელი კრიტერიუმები	მაქსიმალური მისანიჭებელი ქულა
1	პირველ საოპერაციო წელს, VIP Lounge-ით მოსარგებლე გარანტირებული მგზავრების ოდენობა	30 ქულა

2	დიზაინი	30 ქულა
3	მსგავსი საქმიანობის გამოცდილება (მისი ან მასთან დაკავშირებული ბრენდის ქვეშ)	15 ქულა
4	დამატებითი ბენეფიტები მგზავრებისთვის ან/და „აეროპორტისთვის“	15 ქულა
5	ინვესტიციის ოდენობა	10 ქულა

5. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, „აეროპორტების გაერთიანება“ გადაწყვეტილებას მიიღებს „დაინტერესებული პირების“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის / ინფორმაციის ერთობლიობაში განხილვის საფუძველზე.
6. იმ შემთხვევაში, თუ „დაინტერესებული პირის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია / დოკუმენტაცია მოითხოვს დაზუსტებას, „აეროპორტების გაერთიანება“ უფლებამოსილია, „დაინტერესებულ პირს“ განუსაზღვროს დამატებით, არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადა, შესაბამისი დოკუმენტაციის / ინფორმაციის დასაზუსტებლად. ასეთ შემთხვევაში ხელმეორე განხილვა მოხდება დაზუსტებული ინფორმაციის / დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.
7. „დაინტერესებული პირების“ მიერ წარმოდგენილი წინადადებების/შეთავაზებების განხილვის შედეგად კომისიის მიერ მიღებული საბოლოო შედეგების და მათი შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების დამატებით შეთანხმება, განხორციელდება შესაბამის უწყებებთან.
8. შესაბამისი უწყებების მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 45 კალენდარული დღის ვადაში, განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმება ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე იმ „დაინტერესებულ პირთან“, რომელიც კომისიის მიერ გამოვლინდა გამარჯვებულად.